თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

კერძო (ბიზნეს) სამართლის მიმართულება

ავტორი: ლაშა წვერავა

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ქეთევან ირემაშვილი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, 0156, თბილისი, საქართველო

სამაგისტრო თემის სათაური:

მედიატორის როლი მედიაციის პროცესში: შესაძლებლობები და გამოწვევები

2020 წელი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ლაშა წვერავას** მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით „მედიატორის როლი მედიაციის პროცესში: შესაძლებლობები და გამოწვევები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიაში მისი განხილვის თაობაზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი _____

ხელმძღვანელი: ქეთევან ირემაშვილი

_____

რეცენზენტი:

_____

ავტორი: ლაშა წვერავა

ნაშრომი: მედიატორის როლი მედიაციის პროცესში: შესაძლებლობები და გამოწვევები

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომში - „მედიატორის როლი მედიაციის პროცესში: შესაძლებლობები და გამოწვევები“ განხორციელებული კვლევის პროცესში, განხილულია მედიაციის პროცესისა და მედიატორის როლის მნიშვნელობა.

ნაშრომში გამოკვეთილია, რომ ადამიანთა შორის კონფლიქტის მოგვარებაში ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის სამართლებრივი ინსტიტუტებისა და საზოგადოების ჯგუფების ჯანსაღი ურთიერთობა. ეს მდგომარეობა მაინც არ წარმოადგენს გარანტს, რომ აცილებული იქნება ესა თუ ის სოციალური კონფლიქტი, რადგან ის წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობებში თანმდევ მოვლენას. ასწლეულების განმავლობაში ადამიანთა და საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული უთანხმოებებისა და სამართლებრივი დავების გადაწყვეტისა და მართლმსაჯულების რეალიზაციის მთავარ გარანტორს წარმოადგენდა სასამართლო. მიუხედავად ამისა, საზოგადოება ყოველთვის იმის ძიებაში იყო, რომ მოენახა უფრო ეფექტური ალტერნატიული ინსტრუმენტები მართლმსაჯულების აღსრულებისათვის. ნაშრომში, სწორედ დავის გადაწყვეტის ისეთ საშუალებებზე, როგორიც მედიაციაა, მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვისა და განვითარებისათვის ორიენტირებულ ღონისძიებებზეა გამახვილებული ყურადღება.

განხილულია მედიაციის როგორც ინსტიტუტის ფუნქციონირება საქართველოში, მისი ისტორიული ევოლუციის მაგალითები, საქართველოს და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მედიატორის როლის თანამედროვე კონცეფციაზე. ხსენებულის ფარგლებში გაანალიზებულია მედიაციის პროცესისა და მედიატორის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. ნაშრომში ასევე განხილული და გააზრებული იქნა მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირების საკითხები, რომელზეც მსჯელობისას გაანალიზებულია როგორც მედიატორის პროფესიაში დაშვების წინაპირობები, ასევე მისი პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების საკითხები და სტანდარტები. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტები იქნა გამახვილებეული მედიატორის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებსა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მედიაცია საქართველოში განვითარების ეტაპზეა, თუმცა მას გააჩნია თავისი არსებობის ტრადიცია და ისტორიული გამოცდილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მოდავე მხარეთა შორის საკითხის მშვიდობიან მოგვარებას ხელს უწყობდა შუამავალი, რომელიც ნაშრომში მოხსენიებულია სხვადასხვა

სახელწოდებებით. შესაბამისად, მიჩნეულია რომ მედიაციის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ახალი არ არის ჩვენი ქვეყნისათვის და მას განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია.

გაანალიზებულია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მედიატორის უნარებს, ადამიანურ თვისებებსა და მის პროფესიონალურ რეპუტაციას, რაც დავების გადაწყვეტის პროცესში მხარეთა მიერ მედიატორისადმი და ასევე ზოგადად მედიაციის პროცესისადმი დამოკიდებულების მთავარი საფუძველია, საჭიროა არსებობდეს ისეთი სამართლებრივი რეგულაცია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მედიატორის, როგორც შუამავლის უფლებამოსილებასთან, პროფესიულ უნარჩვევებსა და ეთიკის ერთიან სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები.

ნაშრომში გაანალიზებულია მედიაციის პროცესში მედიატორის დაშვების წინაპირობები და ხსენებულ პროცესში მედიატორის პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტები. აღნიშნულია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მედიატორთა მომზადება და მათი განათლების სტანდარტების დამკვიდრება, რადგანაც აღნიშნული განაპირობებს მედიაციის პროცესში ჩართულ მედიატორთა პროფესიონალიზმსა და თავად მედიაციის პროცესის ეფექტურობას.

მედიატორის პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტზე მსჯელობისას, ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა სპეციალობების მქონე ადამიანთა მედიატორებად დაშვების დადებით და უარყოფით მხარეებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც არ არის შეზღუდვა მედიატორის პროფესიასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედიაციისა და მედიატორის როლის პოპულარიზაციის საკითხში. თუმცა, გაანალიზებულია, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი ცოტა ბუნდოვანს და გაურკვეველს ხდის ქმედუნარიანი ფიზიკური პირის მიერ მედიატორის პროფესიის დაუფლების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

სამაგისტრო ნაშრომში, ანალიზისა და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე თანმიმდევრობით გაშუქებულია მნიშვნელოვანი პრობლემები. კერძოდ:

პირველ თავში - მედიატორის როლის ისტორიული ევოლუცია განხილულია: ქართული გამოცდილება და საერთაშორისო გამოცდილება.

მეორე თავში - მედიატორის როლის თანამედროვე კონცეფცია გაანალიზებულია: „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიდგომა და მედიატორის პროფესიული ეთიკის კოდექსით ჩამოყალიბებული მიდგომა (ამ უკანასკნელის ფარგლებში განხილული და გაანალიზებული იქნა „მედიატორის ქცევის ევროპული კოდექსი“).

მესამე თავში - მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირება განხილულია პროფესიაში დაშვების წინაპირობები და პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტები.

მეოთხე თავში - მედიატორის საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები განხილულია: დავის არსში ჩარევის ფარგლები: განსხვავებული მიდგომები საკითხის მიმართ და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის სირთულე ცალკეული ტიპის დავისას.

Summary

In the research paper - "The Role of the Mediator in the Process of Mediation: Opportunities and Challenges", it is substantiated the importance of the mediation process and the role of the mediator in the course of the research conducted.

The paper points out that the healthy relationship between the country's legal institutions and community groups is very important in resolving the conflict between people, but this situation is not a guarantee that we will avoid any social conflict, because it is a natural aspect of human relations. For centuries, the court has been the main guarantor in administration of justice of disputes and legal disputes between people and / or various social groups in the society. Yet society has always sought to find more effective alternative tools for the administration of justice. The paper focuses on the means of resolving disputes, such as mediation, measures for its effective functioning and development.

It is mentioned the functioning of mediation as an institution in Georgia, examples of its historical evolution, taking into account both Georgian and foreign experience, as well as special attention is paid to the modern concept of the role of mediator, which analyzes the legal acts regulating the mediation process and mediator activities. The paper also discussed and considered issues of professional regulation of mediator activities, as well as the preconditions for admission to the profession of mediator and the issues and standards of establishing and maintaining his professional reputation. The paper focuses on the basic principles of the mediator's activities and the problems associated with their use.

The paper emphasizes that mediation is at the stage of development in Georgia, but it has a tradition and historical experience, which is evidenced by the fact that the mediator had been promoting the peaceful settlement of disputes in Georgia for centuries and its name in paper is mentioned under different names. Therefore, it is considered that the

features of the functioning of the Institute of Mediation are not new to our country and it has great prospects for development.

It is noted that the most important place in the mediation process is the mediator's skills, human qualities and professional reputation, which is the main reason for the parties' attitude towards the mediator and the mediation process in resolving disputes. Therefore, there is a need for legal regulation that will detail issues related to the mediator's authority as a mediator, professional skills, and unified standards of ethics.

The preconditions for admission of a mediator in the mediation process and the standards for establishing and maintaining the professional reputation of the mediator in the mentioned process are analyzed. It is mentioned how important it is to train mediators and establish their education standards, as this determines the professionalism of the mediators involved in the mediation process and the effectiveness of the mediation process itself.

During discussing the standard of establishing and maintaining a mediator's professional reputation, the focus is on the pros and cons of accessing people with different specialties as mediators. In this regard, we believe that there are no restrictions on the profession of mediator in different countries, including Georgia, which plays an important role in popularization of mediation and the role of the mediator. However, we believe that the record in the Law of Georgia on Mediation makes the possibility of a free choice of mastering the profession of mediator by a capable natural person a bit vague and unclear.

In the master's thesis, based on the analysis and logical reasoning, significant problems are analyzed, In particular:

The first chapter - "Historical Evolution of the Role of the Mediator" discusses: Georgian experience and international experience.

In the second chapter - "Modern Concept of the Role of the Mediator" is analyzed: the approach of the Law of Georgia on Mediation and the approach established by the

Mediator's Code of Professional Ethics (within the framework of the latter we discussed and analyzed the "European Code of Conduct for Mediators")

In the third chapter- - "Professional Regulation of Mediator Activities" discusses the preconditions for admission to the profession and the standards for establishing and maintaining a professional reputation.

In the fourth chapter - “Principles of Mediator Activity and the Problems Related to Their Use discusses the scope of intervention in the essence of the dispute: the issue of different approaches and the difficulty of adhering to the principle of impartiality in a particular type of dispute.

სარჩევი

შესავალი 11

თავი 1. მედიატორის როლის ისტორიული ევოლუცია 13

1.1. ქართული გამოცდილება 14

1.2. საერთაშორისო გამოცდილება 17

თავი 2. მედიატორის როლის თანამედროვე კონცეფცია 23

2.1. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიდგომა 25

2.2. მედიატორის პროფესიული ეთიკის კოდექსით ჩამოყალიბებული მიდგომა 29

თავი 3. მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირება 33

3.1. პროფესიაში დაშვების წინაპირობები 34

3.2. პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტები 38

თავი 4. მედიატორის საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები 41

4.1. დავის არსში ჩარევის ფარგლები: განსხვავებული მიდგომები საკითხის მიმართ 42

4.2. მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის სირთულე ცალკეული ტიპის დავისას 46

დასკვნა 50

გამოყენებული ლიტერატურა 55

შესავალი

კაცობრიობის განვითარებისა და ადამიანთა შორის ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა კონფლიქტი. ადამიანთა შორის კონფლიქტის მოგვარებაში ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის სამართლებრივი ინსტიტუტებისა და საზოგადოების ჯგუფების ჯანსაღი ურთიერთობა. ეს მდგომარეობა მაინც არ წარმოადგენს გარანტს, რომ ავიცილებთ ამა თუ იმ სოციალურ კონფლიქტს, რადგან ის წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობებში თანმდევ მოვლენას. ასწლეულების განმავლობაში ადამიანთა და საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული უთანხმოებების, სამართლებრივი დავების გადაწყვეტისა და მართლმსაჯულების რეალიზაციის მთავარ გარანტორს წარმოადგენდა სასამართლო. მიუხედავად ამისა, საზოგადოება ყოველთვის იმის ძიებაში იყო, რომ მოენახა უფრო ეფექტური ალტერნატიული ინსტრუმენტები მართლმსაჯულების აღსრულებისათვის.[1] დავის გადაწყვეტის სწორედ ასეთ ინსტრუმენტად მოევლინა კაცობრიობას მედიაცია.

საქართველოში დავების მოგვარების ალტერნატიულ მეთოდებს გააჩნიათ ღრმა ისტორიული ფესვები. მაგალითად, ის გამოიყენებოდა თემებში არსებული სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად, მაშინ, როდესაც საზოგადოების ავტორიტეტული წევრების მონაწილეობით ხდებოდა მოდავე მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა. ასეთი მიდგომები ახლაც კი შემორჩენილია საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.

ერთი მხრივ, მედიაციას საქართველოში გააჩნდა არსებობის თავისი ისტორიული წინამძღვრები, თუმცა მიუხედავად ამისა მიჩნეულია, რომ საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის ფუნქციონირება ჯერ კიდევ ფეხს იდგავს,

[1] ლობჟანიძე, გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, გვ.142

რაც გამოიხატება იმაში, რომ 2019 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ და ასევე, მიმდინარეობს მუშაობა მედიატორთა ეთიკის კოდექსის შესახებ, შესაბამისად არსებობს მედიაციის ინსტიტუტის განვითარების უზარმაზარი პერსპექტივები. ამავდროულად ასევე არსებობს სხვადასხვა სახის გამოწვევებიც, რომლებიც მოითხოვს სამართალწარმოების პროცესში ინსტიტუციონალურ რეფორმებს.

საქართველოში სწორედ მედიაციის, როგორც ინსტიტუციის განვითარებაზე მის პერსპექტივებზე და ასევე სამართალწარმოების პროცესში არსებულ ნაკლოვანებებსა და გამოწვევებზე იქნება საუბარი აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში.

სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებული იქნება ზოგადმეცნიერული და ისტორიული, ასევე ნორმატიული და შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

სამაგისტრო ნაშრომი ჩამოყალიბებულია ოთხი თავისაგან, რომლის ფარგლებშიც საუბარი იქნება მედიაციის პროცესში მედიატორის როლზე და აღნიშნულ პროცესში მის შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე. განხილული იქნება მედიატორის როლის ისტორიული ევოლუცია, ქართული და საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება, აგრეთვე მედიატორის როლის თანამედროვე კონცეფცია და საქართველოში მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. ხსენებულ ნაშრომში, ასევე იქნება საუბარი მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო, ნაშრომის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მედიატორის საქმიანობის ისეთ ფუძემდებლურ პრინციპებსა და ამ პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას, როგორიცაა მედიატორის მხრიდან მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის სირთულეები და სხვა.

თავი 1. მედიატორის როლის ისტორიული ევოლუცია

„მედიაცია კვლავაც სიახლეა საქართველოში. ჩვენ გვჯერა, რომ მასში დიდი პოტენციალია იმ მოსახლეობისთვის, რომელსაც სურს სასამართლოს გარეთ დავების გადაწყვეტა მშვიდობიანი და ურთიერთმისაღები გამოსავლების ძიებით.“ - ევროკავშირის ელჩი, კარლ ჰარცელმი. 2020 წ.

„გაეროს განვითარების პროგრამა მხარს უჭერს მედიაციას, რადგან მისი საშუალებით მართლმსაჯულება უფრო ხელმისაწვდომი ხდება იმ ათასობით ადამიანისთვის, რომლებსაც არ აქვთ დავების სასამართლოს გზით გადაწყვეტის ფინანსური რესურსი, მეტიც, სასამართლოსთან შედარებით, რომელიც მხოლოდ ერთი მხარის მოგებით ხასიათდება, მედიაცია დაპირისპირებისა და შეჯიბრობითობის ალტერნატივაა, რომელიც მხარეებს მათთვის მისაღები გამოსავლის ძიების შესაძლებლობას აძლევს.“ - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელი, ლუიზა ვინტონი. 2020 წ.

„ჩვენ მნიშვნელოვანი მისია გვაკისრია, საზოგადოებას ჩვენს მიმართ დიდი მოლოდინი აქვს. ამ მოლოდინის გასამართლებლად აქტიურად უნდა ვიმუშაოთ, რომ მედიატორთა საქმიანობის საუკეთესო სტანდარტები და პრაქტიკა შევქნათ." მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი. 2020 წ.

2020 წლის 19 თებერვალს „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ დაარსებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე[2], სწორედ ასე შეფასდა საქართველოსათვის მნიშვნელოვანი მოვლენა, საქართველოში ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების განვითარებისათვის მედიაციის ახალი ეტაპი.

---

[2] სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ დაარსებასთან დაკავშირებული ღონისძიება. 2020. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2020/MediatorsAssociation.html (03.06.2020)

1.1. ქართული გამოცდილება

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის ინსტიტუტი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება საქართველოში განვითარების ეტაპზეა, იგი ქართული ისტორიისათვის არც თუ ისე უცხოა. ამიტომაც მნიშვნელოვანია აღნიშნული ქვეთავის ფარგლებში მიმოვიხილოთ ხსენებული პროცესის და შესაბამისად მედიატორის როლის ისტორიული ევოლუცია საქართველოში. როგორც შესავალში აღინიშნა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში დანერგილი იყო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მხარეთა შორის სამართლებრივ რეგულაციებს ახორციელებდა მედიტორი, თუმცა ქართულ ისტორიულ წყაროებში მედიატორი, როგორც მხარეთა შორის შუამავალი სხვა დასახელებებით გვხვდება. მაგალითად, მსაჯული, რჯულის კაცი[3], ხევისბერი, ბჭე-მედიატორი, შუაკაცი[4] და სხვა. ზოგადად ქართულ ისტორიულ წყაროებში ტერმინი მედიატორი მაინც და მაინც არ უკავშირდებოდა სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელს, ის უფრო წარმოადგენდა მოდავე მხარეთათვის ნდობითა და ავტორიტეტით აღჭურვილ პირს.[5] მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ ბჭეზე, ის ქართულ მწერლობაში მოხსენიებულია როგორც სადავო საქმის გამრჩევი პირი, თუმცა გარდა შუამავლის როლისა მას სადავო საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა, რაშიც სწორედ მისი ავტორიტეტი და საზოგადოების მხრიდან მის მიმართ არსებული პატივისცემა უწყობდა ხელს.[6] ამას

[3] დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თსუ-ს გამომცემლობა., თბილისი, 2004, გვ. 34

[4] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 224

[5] ონიანი ს., 2013 ტერმინი „ბჭი“ მნიშვნელობისთვის ძველ ქართულ სამართალში. თსუ იურიდიული ფაკულტეტი სამართლის ჟურნალი, N2, 2013

[6] ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბ., 2016, გვ.11

ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მედიატორების შერჩევა ხდებოდა მათი გონიერებითა და პატიოსნებით, აგრეთვე ექცეოდა ყურადღება იმასაც, თუ რამდენად შეეძლოთ კრიტიკულ სიტუაციებში სათანადო გამოსავლის მოძებნა[7]

როდესაც ვსაუბრობთ ქართულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მედიატორის როლის ისტორიულ ევოლუციაზე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას საქართველოს რამდენიმე კუთხეში არსებულ მედიაციის ტრადიციას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვახსენოთ სვანეთი, სადაც მედიატორების როლს ასრულებდნენ მორუალების სახელწოდებით ცნობილი ადამიანები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მოდავე მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში.[8] სვანეთში არსებულ მედიაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფიცის დადება, რადგანაც პროცესის დაწყებამდე ფიცის დადების პროცესს გადიოდნენ როგორც მედიატორები, ასევე მოდავე მხარეები და აღნიშნულ პროცესში ჩართული სხვა პირები, რაც იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მედიატორი იქნებოდა მიუკერძოებელი, ხოლო მის მიერ გამოტანილი განაჩენი აუცილებლად აღსრულდებოდა. აღსანიშნავია, ისიც, რომ მხარეთა მორიგების შემთვევაში მედიატორის ჩართულობით კვლავ ხდებოდა მხარეების მიერ ფიცის დადება, რათა საკითხთან დაკავშრებით აღარ მომხდარიყო მხარეებს შორის უთანხმოება, რაც ერთგვარი პრევენციული ღონისძიების გატარებას გულისხმობდა მედიატორების მხრიდან.[9]

რჯულის კაცი[10] – სწორედ ამ სახელწოდებით იყვნენ ცნობილი მედიატორები ხევსურეთში, რომლებიც მსგავსად სხვა მედიატორებისა, საზოგადოებაში დიდი პატივისცემით, პატიოსნებით, ავტორიტეტითა და გონებამახვილობით

---

7 დავითაშვილი გ., „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისი, 2001, გვ. 38.
8 მერაბიშვილი ჯ., „რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული: ქართული ჩვეულებითი სამართალი მიხაკო კეკელიას რედაქტორობით, 1990. გვ. 110.
9 იქვე, გვ. 110
10 დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისი, 2001, გვ. 16

გამოირჩეოდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რჯულის კაცი სადავო საკითხის მოგვარების პროცესში მაქსიმალურად იყო ჩართული. ის არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებად გვევლინებოდა, არამედ თავად მიდიოდა მოდავე მხარეებთან და ცდილობდა მხარეებს შორის დაემყარებინა ურთიერთპატივისცემა და ნდობა[11]. სადავო საკითხის სირთულის გათვალისწინებით შესაძლოა მოდავე მხარეების მიერ შერჩეულიყო არა ერთი, არამედ რამდენიმე რჯულის კაცი, ხოლო, შერჩევა შესაძლოა ისე მომხდარიყო, რომ მედიატორს არც კი სცოდნოდა იმ პირის ვინაობა, ვინც ის შეარჩია, რაც რჯულის კაცის ერთგვარ ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის გარანტს ქმნიდა ხსენებულ პროცესში.[12] შესაბამისად, იმ პირობებში როდესაც, რჯულის კაცი ან/და მორუალი როგორც პატიოსნებითა და ავტორიტეტით გამორჩეული, აგრეთვე დავის მშვიდობიანად მოგვარებისაკენ მიმართული პირი ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სახელმწიფო სასამართლოს მაგივრად, სწორედ მედიაცია წარმოადგენდა იმ პროცესს, სადაც მოდავე მხარეები მათთვის სასურველი შედეგის მიღწევას ცდილობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის პროცესსა და თავად მედიატორის ინსტიტუტს საქართველოში დიდ პატივს სცემდნენ და ხშირად მიმართავდნენ სადავო საკითხის მშვიდობიანად მოგვარებისათვის, დღეს იგი დიდი პოპულარობით არ სარგებლობს საზოგადოებაში. ამას ადასტურებს ისიც, რომ 2012 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მხოლოდ რამდენიმე ათეული პროცესია ჩატარებული, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ პერიოდში სასამართლოში შესული სამოქალაქო საქმეთა რაოდენობასთან მიმართებაში ეს ოდენობა მიზერულია,

---

[11] იქვე, გვ. 52

[12] ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“., დისერტაცია, თბილისი, 2015, გვ. 41

შესაბამისად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ მთლიანობაში მედიაციის საშუალებით დავების გადაწყვეტის პროცესს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ენდობა და ხსენებულმა ინსტიტუტმა დავების გადაწყვეტილების პროცესში ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი[13]. თუმცა თავად მედიაციისა და ამ პროცესში ჩართული მედიატორის უპირატესობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაძლოა თანამედროვე მედიაციის ინსტიტუტი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება საკმაოდ მალე გახდეს ქართული საზოგადოებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ინსტიტუტი, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მოდავე მხარეებს შორის კონკრეტული სადავო საკითხის მოგვარებას, არამედ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დავების ბევრად უფრო მოკლე დროში მოგვარების კუთხითაც, ვიდრე ეს ხდება სასამართლოს მეშვეობით.

1.2. საერთაშორისო გამოცდილება

საერთაშორისო მედიაციას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. არსებობს მოსაზრება, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა ჯერ კიდევ 2600 წლის წინ გამოიყენებოდა.[14] თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კაცობრიობის განვითარების და ადამიანთა შორის ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს ყოველთვის წარმოადგენდა კონფლიქტი, შეიძლება ითქვას, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმებს საზოგადოებაში ხშირად იყენებდნენ. მედიაციის ისტორიულ საფუძვლებს უკავშირებენ ბერძნულ და ლათინურ ენებს,

[13] *განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“ რეგისტრაციის № 07-2/319/9, ინიცირებული ვარიანტი.* https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089 (05.06.2020)

[14] ცერცვაძე გ., „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2010, გვ. 45

სადაც ხსენებული ტერმინი ნეიტრალურობასთან და მიუკერძოებლობასთან იყო დაკავშირებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ანტიკურ საბერძნეთში, ქალაქებს შორის დაპირისპირებების დროს, ზოგიერთი ქალაქი თავის თავზე იღებდა შუამავლის როლს კონფლიქტის მაქსიმალურად მშვიდობიანად მოგვარების მიზნით. მედიაციის ისტორიულ საფუძვლებს უკავშირებენ ჩინეთსაც, კერძოდ, კონფუძის სოციალური ჰარმონიის იდეას, რომელიც ურთიერთობების შენარჩუნებისათვის, არსებული კონფლიქტებისა და დაპირისპირებების კომპრომისის გზით მოგვარებას ემყარებოდა. გარდა ანტიკური საბერძნეთის და ჩინეთის, ცნობილია რომ წამოჭრილი კონფლიქტების შუამავლის გამოყენებით მოგვარებას მიმართავდნენ ეგვიპტეში, ძველ აღმოსავლეთსა და საბერძნეთშიც.[15] კონფლიქტის მოგვარებაში მესამე პირის ჩართულობამ პოპულარობა ევროპაში X-XI საუკუნეებში მოიპოვა. აღნიშნულ მეთოდს მეზობელ მამულებს შორის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული უთანხმოებების დროს ძალზედ აქტიურად იყენებდნენ. აღსანიშნავია, ისიც რომ შუა საუკუნეებში კათოლიკებს შორის არსებული დავის მშვიდობიანად დასრულების მიზნით, მოდავე მხარეებს შორის შუამავლის ფუნქციით სარგებლობდა, რომის პაპის წარმომადგენელიც, რომელიც როგორც მედიატორი ისე იყო მოხსენიებული[16]. ხსენებული პერიოდიდან მოყოლებული, მედიატორის ფუნქციას ხშირად ითავსებდნენ ამა თუ იმ დავის მოგვარებისათვის ევროპის მასშტაბით. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ, ვენის კონგრესი სადაც დიპლომატი მედიატორები ძალზედ დიდ როლს თამაშობდნენ ევროპისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. მე-19 საუკუნის ევროპა ნათელი მაგალითია მედიაციის პროცესის და მედიატორის როლის მნიშვნელობის დასადასტურებლად. სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებული

[15] ცერცვაძე გ., „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2010, გვ 46

[16] Haft, Fritjof, Verhandlung und Mediation, in: Haft, Fritjof,/von Schlieffen, Katherina,/(Hrsg.) Hanbuch Mediation, 2.Auflage, ”Beck”, München, 2009, s.72-73

დაპირისპირებებისა და უთანხმოებების დროს ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მესამე, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ქვეყანა ცდილობდა შეეთავსებინა მედიატორის ფუნქცია და მაქსიმალურად მშვიდობიანად მოეგვარებინა დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებული პრობლემა. მაგალითისათვის შეიძლება ვახსენოთ დიდი ბრიტანეთი, რომელმაც 1825 წელს მედიატორის როლი შეასრულა ბრაზილიასა და პორტუგალიას შორის არსებული კონფლიქტისას. ასევე დიდი მნიშვნელობა იქონია 1849-1850 წლებში საფრანგეთის, როგორც მედიატორის ჩართულობამ ბრიტანეთსა და საბერძნეთს შორის არსებული დაპირისპირების მოგვარებაში.[17]

თანამედროვე მედიაციის საწყისები 60-70-იანი წლების ამერიკის შეერთებულ შტატებთან ასოცირდება.[18] სწორედ ამ დროს დაიწყო სერიოზული საუბარი აშშ-ში მედიაციისა და მედიატორის როლის განვითარებაზე. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ ADR-მა აშშ-ში სწორედ 1970-იან წლებში მოიკიდა ფეხი და სწორედ ეს გახლდათ ბიძგი ამერიკელი კანონმდებლებისათვის ჩამოეყალიბებინათ სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციაც. მედიატორისა და მედიაციის ინსტიტუტის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზანს აშშ-ში წარმოადგენდა გადატვირთული მართლმსაჯულების და ამა თუ იმ პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდება. შესაბამისად სწორედ ხსენებულ წლებში დაიწყო ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის მიერ მედიაციის და მედიატორის როგორც მომსახურების შეთავაზება. მედიაციის უპირატესობებისა და მნიშვნელობის გააზრების შედეგად, მოგვიანებით მედიაციის პოპულარიზაციის საკითხში კერძო ფირმებიც ჩაერთვნენ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდისათვის როდესაც თანამედროვე მედიაცია და მედიატორის ინსტიტუტი ფეხს იკიდებდა აშშ-ში,

[17] ცერცვაძე გ., „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2010, გვ 47
[18] იქვე, გვ 48

ტარდებოდა კვლევებიც, რომლებიც ხსენებული პროცესის უპირატესობებს ნათლად ასახავდა. თანამედროვე მედიაციის აშშ-ში განვითარების პარალელურად მუსირებდა აზრი იმის თაობაზე, რომ ევროპაში ხსენებული ინსტიტუტის განვითარების დაბალი შანსი იყო, თუმცა ამგვარი პროგნოზების მიუხედავად ევროპაში მედიაციამ საკმაოდ მალე მოიკიდა ფეხი და დღემდე სარგებლობს დიდი პოპულარობით.[19] თანამედროვე ამერიკული მედიაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავიათ თავად სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოებს, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ მოახდინონ ხსენებული ინსტიტუტის კიდევ უფრო მეტად პოპულარიზაცია, მაგრამ ასევე აღსანიშნავია სხვადასხვა ცენტრებისა თუ ორგანიზაციების წვლილი, რომლებიც თავაზობენ მოსახლეობას მედიაციას, როგორც მომსახურებას და დიდი წვლილი მიუძღვით მედიაციის პროცესის ყოველდღიურ გაუმჯობესებასა და გაჯანსაღებაში.[20] 1990-იანი წლებიდან მედიაციამ, როგორც დავის ალტერნატიული და ეფექტური მოგვარების მეთოდმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა სხვადასხვა ქვეყნის სამართალწარმოების განვითარების პროცესში. ევროპული ოჯახის მასშტაბით, მედიაციისა და მედიატორის ინსტიტუტის, როგორც დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალების მნიშვნელობის გააზრება და შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა ღონისძიების გატარება სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება.[21]

ევროპული ოჯახის მასშტაბით გერმანია მიიჩნევა იმ ერთ-ერთ გამორჩეულ სახელმწიფოდ, რომელმაც საკმაოდ მარტივად აუღო ალღო მედიაციის ინსტიტუტს და გაიაზრა მისი და ხსენებულ პროცესში ჩართული მედიატორის როლის

---

[19] ცერცვაძე გ., „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2010, გვ. 51

[20] იქვე, გვ. 62

[21] ცერცვაძე გ., „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2010,, გვ 53

მნიშვნელობა. გერმანიაში ხსენებული ინსტიტუტის განვითარების ეტაპზე დაინტერესდა არასამთავრობო სექტორიც, რომელთა მეშვეობითაც დამოუკიდებლად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ტრენინგები რომლებიც მიმართული იყო მედიაციის პოპულარიზაციისა და მედიატორთა კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ.[22] დღეისათვის გერმანიის მასშტაბით დავის ალტერნატიულ გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია ფუნქციონირებს წარმატებულად. შესაბამისად, გერმანიაში მომსახურების სფეროში მედიაციის გამოყენების მაგალითები საკმაოდ ბევრია, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გერმანიაში კერძო მედიატორის დახმარებით საოჯახო დავების მოგვარება ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და პოპულარულ სფეროდ მიიჩნევა. როდესაც ვსაუბრობთ მედიატორის როლის ისტორიულ განვითარებაზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ავსტრიაც, სადაც ჯერ კიდევ 1993 წელს გადაწყდა, რომ განქორწინების შედეგად გამოწვეული მცირეწლოვანი ბავშვების უარყოფითი მდგომარეობის თავიდან არიდების გამოსავალი სწორედ ამგვარი დავების მედიაციის გამოყენებით მოგვარება იქნებოდა, რასაც თანმდევი მოვლენის სახით მოჰყვა სამოქალაქო და სავაჭრო სფეროში წარმოშობილი დავების მედიაციის მეშვეობით მოგვარების დანერგვაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის მასშტაბით სწორედ ავსტრია იყო ის პირველი ქვეყანა, რომელმაც მედიაციის განვითარების მიმართულებით გადადგა დიდი ნაბიჯი და მიიღო მედიაციის შესახებ კანონი.[23] ევროპული ოჯახის მასშტაბით ავსტრია გამორჩეული გახლავთ იმითაც, რომ იგი მედიაციის პროცესის განვითარებასთან და პოპულარიზაციასთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევს მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორების პროფესიულ განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ავსტრიაში დღემდე

[22] იქვე. გვ. 58

[23] ცერცვაძე გ., „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2010, გვ 78

მოქმედებს დებულება სამოქალაქო სამართლის სფეროში მედიატორების განათლების შესახებ, რაც პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული მაღალი ხარისხის მედიაციის პროცესთან და კვალიფიციურ მედიატორებთან.[24]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის ინსტიტუტის განვითარების შედეგად, სხვადასხვა ქვეყნების საზოგადოებას მიეცათ ერთგვარი ბერკეტი, მედიატორის ჩართულობით თავად დაერეგულირებინათ მათი პრობლემა, რასაც ერთ-ერთი თანმდევი შედეგის სახით მოჰყვა გადატვირთული სასამართლოს განტვირთვა და თავიდან არიდება, რაც დაკავშირებულია სასამართლო სისტემის ეფექტურობასთან. შესაბამისად, სხვა ქვეყნების გამოცდილება და ქართული რეალობა გვიჩვენებს, რომ მაშინ როდესაც სასამართლო სისტემაში მიმართვიანობასთან შედარებით არც თუ ისე ბევრი მოსამართლეა, საქართველოში მედიაციისა და შესაბამისად მედიატორის ინსტიტუტის განვითარება, პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული გაცილებით უფრო გამჭირვალე, ხარისხიან მართლმსაჯულებასთან და ეფექტურ სასამართლოსთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მედიაციის პროცესისა და მედიატორის როლის მნიშვნელობას[25].

[24] იქვე. გვ. 79

[25] ყანდაშვილი ი., პრობლემები მედიაიცაზე, ინტერვიუ, თბილისი, 2020 https://youtu.be/wCs1-PmdW-s?t=216

თავი 2. მედიატორის როლის თანამედროვე კონცეფცია

როგორც ავღნიშნეთ, თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა სახის სამართლებრივი დავების გადასაწყვეტად, უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიმართავს მედიატორს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრმა არ იცის თუ რა უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი მედიატორი და ზოგადად რაში მდგომარეობს მედიატორის როლი მედიაციის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ მედიაცია არის მოქნილი პროცესი, რომლის მიმდინარეობაც არ არის მკაფიოდ რეგლამენტირებული საპროცესო მოქმედებებით ან დებულებით. მედიატორი მედიაციის წარმოებისათვის არსებული მეთოდების გამოყენებით[26] ხელმძღვანელობს მხარეთა შორის მიმდინარე მოლაპარაკების პროცესს და კონცენტრირებული უნდა იყოს მხარეთა ინტერესების ძიებასა და გამოსავლის პოვნაში. ეს კი შეუძლებელი იქნება თუ მას არ ექნება მოდავე მხარეთა მიმართ მოქმედების თავისი სტრუქტურა, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს მედიატორს მხარეთა ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების მოძიებაში.

მედიატორის როლის თანამედროვე კონცეფციის გაანალიზებისას კიდევ ერთი ფაქტორია მიდგომა, რომლის ფარგლებშიც მედიატორს არ გამოქვს რაიმე სახის გადაწყვეტილება[27], უფრო მეტიც, ის არც მხარეებს სთავაზობს დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ვარიანტებს, მისი მთავარი ამოცანაა ჩამოაყალიბოს ჯანსაღი კომუნიკაცია მხარეთა შორის, ხელი შეუწყოს მხარეთა ურთიერთნდობის განმტკიცებას, შექმნას უფრო უსაფრთხო, შემოქმედებითი და კრეატიული გარემო.

---

[26] მაგალითისათვის მოყვანილია ავსტრიაში მედიატორის საქმიანობა, სადაც უშვალოდ კანონითაა გაწერილი მედიატორის სასწავლო პროგრამა და შესაბამისად, მედიატორი ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შემუშავებული მეთოდებზე დაყრდნობით არის ვალდებული აწარმოოს მედიაციის პროცესი

[27] ირემაშვილი, ქ., 2015, გამოწვევები კოლექტიური შრომითი დავების მედიატორებისთვის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, ISSN 1987-9199, თსუ, გვ.8

ეს კი დამოკიდებულია მედიატორის პიროვნებასა და პიროვნულ თვისებებზე, მის უნარებსა და ავტორიტეტზე[28], რადგანაც თუ არა მედიატორის ეს მახასიათებლები, მის სიტყვასა და პროცესში ჩართულობას პროცესის მსვლელობაზე დადებითი გავლენის მოხდენა ვერ შეეძლება[29].

მედიატორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მხარეთა ემოციებთან მუშაობას. ამ ასპექტს უგულებელყოფენ მოსამართლეები და არბიტრები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამას საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს და რომ მხარეთა ემოციურ ფაქტორებს არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია საქმის მოგვარებაში. თუმცა, ყველამ ვიცით, რომ გაფუჭებული ურთიერთობები და გამოუთქმელი ემოციები არის ის, რაც ხშირად პროვოცირებს და შემდეგ იწვევს კონფლიქტს.

ამგვარად, მედიაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მედიატორის უნარებს, ადამიანურ თვისებებსა და მის პროფესიონალურ რეპუტაციას, რაც დავების გადაწყვეტის პროცესში მხარეთა მიერ მედიატორისადმი დამოკიდებულების მთავარ საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან მედიატორისადმი და ზოგადად მედიაციის პროცესისადმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებობდეს ისეთი სამართლებრივი რეგულაცია, რომელშიც გაწერილი იქნება მედიატორის, როგორც შუამავლის უფლებამოსილებასთან და პროფესიულ უნარჩვევებთან დაკავშირებული საკითხები.

[28] Zenk K., Mediation im Rahmen des Rechts, Nomos, 2008, 22.

[29] ყანდაშვილი ი., „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები“ ნაშრომი, თბილისი, 2018. 113.

2.1. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიდგომა

სანამ დეტალურად დავიწყებდეთ საქართველოში მედიაციის შესახებ მოქმედი კანონის ფარგლებში მედიატორის საქმიანობასთან დაკავშირებული მიდგომების განხილვას, მნიშვნელოვანია ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომელიც საქართველომ აიღო მედიაციის პროცესის დანერგვისა და ხელშეწყობის კუთხით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, განისაზღვრა საქართველოს ვალდებულება ქვეყანაში განევითარებინა დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, ისეთი როგორიცაა მედიაცია და არბიტრაჟი, ასევე შეექმნა ამ ინსტიტუციების ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი გარემო და პირობები.

რაც შეეხება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონს, მის პროექტზე მუშაობა 2016 წელს დაიწყო ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, USAID/PROLoG-ისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური ჩართულობით და ფინანსური მხარდაჭერით. 2019 წლის 18 სექტემბერს კი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“.

აღნიშნული კანონის პირველი მუხლით განისაზღვრა კანონის რეგულირების სფერო, სადაც აღნიშნულია, რომ კანონი დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის წახალისებისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა

და საქმიანობის წესებს, მედიატორის უფლებამოსილებებს და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს[30].

კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია მედიატორის არჩევის/დანიშვნის წესი, სადაც აღნიშნულია, რომ მედიაცია ერთდროულად შეიძლება წარმართოს ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა, რომელთა არჩევაზეც თანხმდებიან მხარეები. ამევე მუხლით განსაზღვრულია სასამართლო მედიაციისა და კერძო მედიაციის პროცესში მედიატორის არჩევის წესი. კერძო მედიაციის შემთხვევაში, მხარეები მედიატორად ირჩევენ მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორს, რომელიც ვალდებულია მედიაციის პროცესი კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად წარმართოს, ხოლო, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის შერჩევაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო მხარეთა მიმართვის საფუძველზე მედიატორს ნიშნავს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან.

რაც შეეხება სასამართლო მედიაციას, მხარეები მედიატორს ირჩევენ სასამართლოს მიერ მედიატორთა ერთიანი რეესტრის საფუძველზე შედგენილი და მხარეებისათვის შეთავაზებული მედიატორთა კანდიდატურების სიიდან, მისი საქმიანობის არეალის გათვალისწინებით. თუ სასამართლოს მიერ მხარეებისათვის მედიატორთა კანდიდატურების სიის შეთავაზებიდან 3 დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის კანდიდატურის არჩევაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ან ორგანო სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში მედიატორად ნიშნავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მომდევნო პირს.[31]

---

[30] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 1*
[31] იქვე, მუხლი 4

კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევებში იზღუდება მედიატორის საქმიანობა. აღნიშნულია, რომ მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე ან/და მედიაციის დაწყების შემდეგ, მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე იმ გარემოების გამოვლენისთანავე, რომელმაც შეიძლება საეჭვო გახადოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, შეატყობინოს მხარეებს აღნიშნული გარემოების შესახებ. ასეთი გარემოების არსებობის მიუხედავად, პირი შეიძლება იყოს მედიატორი, თუ მხარეები ამაზე წერილობით თანხმობას განაცხადებენ. მედიატორს უფლება აქვს, ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით უარი თქვას მედიაციის წარმართვაზე, მის მედიატორობაზე მხარეთა წერილობითი თანხმობის არსებობის მიუხედავად[32]. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ პირს უფლება არ აქვს, იყოს მედიატორი, თუ იგი იყო/არის იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, არბიტრი ან ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში, როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, მედიატორი ნოტარიუსი ანდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული მედიატორი. შეიძლება ითქვას, რომ კანონის ხსენებული ჩანაწერი მაქსიმალურად უწყობს ხელს მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორის მიუკერძოებლობას.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულია მედიაციის წარმართვის პროცესში მედიატორის საქმიანობის ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები, რაც გულისხმობს შემდეგს:

- მედიატორმა მედიაციის პროცესში უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა[33];

---

[32] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 6*
[33] იქვე, მუხლი 8. პუნქტი 6

- მედიატორმა მედიაცია შეიძლება წარმართოს მხარეებთან როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის მეშვეობით[34].

- მედიატორი უფლებამოსილია მედიაციის ეფექტიანად წარსამართავად მხარეებს მედიაციის მიმდინარეობისას შესთავაზოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის წარდგენა[35].

- მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში როგორც მედიაციის პროცესის, ისე მისი საბოლოო შედეგის მიმართ მხარეთა მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპის გათვალისწინებით. მედიატორს უფლება არ აქვს, მხარეთა შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება თავად მიიღოს[36].

- მხარეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაში მედიატორმა შეიძლება მხარეებს შესთავაზოს სამედიაციო მორიგების პირობები, მათი ინტერესებისა და მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მათ მიერ გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით[37]

აღნიშნული კანონით გაწერილია მედიაციის პროცესში მედიატორის ვალდებულებები მედიაციის პროცესის კონფიდენციალობასთან დაკავშირებითაც. კანონის მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ მედიაციის პროცესი, გარდა კანონით განსაზღვრული ცალკეული შემთხვევებისა, კონფიდენციალურია. ასევე კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან. ასევე აღნიშნულია, რომ მედიატორს უფლება არ აქვს მხარეს მიაწოდოს მეორე მხარის მიერ მისთვის ინდივიდუალური კომუნიკაციის დროს გამჟღავნებული

[34] იქვე, მუხლი 8. პუნქტი 7
[35] იქვე, მუხლი 8. პუნქტი 8
[36] იქვე, მუხლი 8. პუნქტი 9
[37] იქვე, მუხლი 8. პუნქტი 10

ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მედიატორს მეორე მხარისაგან მიღებული აქვს აშკარა თანხმობა აღნიშნული ინფორმაციის მხარისათვის მიწოდებაზე[38].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ მედიაციის კანონის მიღებამ ასევე განსაზღვრა ის ორგანო, რომელიც ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას. კანონის მე-14 მუხლის თანახმად ასეთ ორგანოს წარმოადგენს მედიატორთა ასოციაცია, რომელთა წევრებიც არიან მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები. სწორედ მედიატორთა ასოციაციაა უფლებამოსილი დაამტკიცოს მედიატორთა სერთიფიცირების პროგრამა, რომლითაც დგინდება მედიატორის ტრენინგის მინიმალური სტანდარტები და განისაზღვრება აღნიშნული ტრენინგის შინაარსი, ხანგრძლივობა, ასევე ტრენერთა კვალიფიკაცია და მედიატორთა ტრენინგის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის შემოწმების წესი[39].

2.2. მედიატორის პროფესიული ეთიკის კოდექსით ჩამოყალიბებული მიდგომა

აღნიშნულ ქვეთავში ჩვენ მიერ შეძლებისდაგვარად განხილული იქნება მედიატორის პროფესიულ ეთიკასთან და ნორმებთან დაკავშირებული საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულია მედიატორთა აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციები, რომლითაც საბჭოს ევალება მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტისა და მათ მიმართ დისციპლინური

[38] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 10*
39 იქვე, მუხლი 14, პუნქტი 5

სამართალწარმოების განხორციელების წესის დამტკიცება, ასევე მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა,[40] რომელიც სამაგისტრო ნაშრომის შედგენის პროცესში ჯერ კიდევ არ არის მიღებული, შევეცდებით მიმოვიხილოთ მედიატორთა ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები.

მედიატორთა პროფესიულ ეთიკაზე და ქცევის ნორმებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ „მედიატორის ქცევის ევროპული კოდექსით“[41] (European Code of Conduct for Mediators) ჩამოყალიბებული მიდგომები, რომელიც შემუშავებული და მიღებული იქნა ევროკომისიის მხარდაჭერით პრაქტიკოს მედიატორთა საინიციატივო ჯგუფის მიერ 2004 წელს ბრიუსელში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული კოდექსი შექმნილია მედიატორებისათვის, რომლებიც საქმიანობას ეწევიან სამოქალაქო და კომერციული მიმართულებით.

აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს მთელ რიგ პრინციპებს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს მედიატორი თავისი საქმიანობის წარმართვისას და ჩვენ მიერ ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ კოდექსის იმ მუხლებზე, რომლებითაც განისაზღვრება მედიატორის ეთიკური ქცევის ნორმები.

კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულია მედიატორის კომპეტენციასა და მედიაციის დაწყებასთან დაკავშირებული საკითხები, სადაც აღნიშნულია, რომ მედიატორები უნდა იყვნენ კომპეტენტურები და უნდა ჰქონდეთ საჭირო ცოდნა მედიაციის სფეროში, ამასთან აღნიშნულია, რომ მედიატორების კომპეტენციის ამაღლებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შესაბამისი სტანდარტების ტრენინგების ჩატარება, რათა მოხდეს მედიაციის სფეროში დასაქმებულთა თეორიული და პრაქტიკული უნარების სისტემატური გაუმჯობესება. აღნიშნული

[40] იქვე, მუხლი 15

[41] მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი, European Code of Conduct for Mediators, ბრიუსელი. 2004 http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf

მუხლით მედიატორს ევალება კონკრეტული მედიაციის დაწყების წინ დარწმუნდეს იმაში რომ მას აქვს საკმარისი კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება მედიაციის ჩატარებისათვის, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს წინა საქმიანობისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი მონაცემები.[42]

კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულია მედიატორის დამოუკიდებლობასთან, ნეიტრალიტეტთან და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ხსენებულ მუხლში აღნიშნულია, რომ მედიატორს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა მედიაციის პროცესში, თუ მისთვის წინასწარ ან/და პროცესის მსვლელობისას გახდა ცნობილი იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც პირდაპირ ან ირიბად შეუძლიათ მოახდინოს გავლენა პროცესის მსვლელობისას მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. ასეთ გარემოებებად მიჩნეულია: ნებისმიერი პირადი და საქმიანი ურთიერთობა მედიაციის პროცესში მონაწილე რომელიმე მხარესთან, ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ფინანსური თუ სხვა ინტერესი მედიაციის შედეგებში, მედიატორის ნებისმიერი სხვა უწინდელი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იყო რომელიმე მხარესთან ან/და რომელიმე მხარის სასარგებლოდ.[43]

რაც შეეხება მედიატორის მიუკერძოებლობას, ის ყოველთვის უნდა მოქმედებდეს აბსოლუტურად ობიექტურად თითოეული მხარის მიმართ და უნდა ეცადოს შესთავაზოს თავისი მომსახურება ისე, რომ თითოეული მხარის მიერ მისი მედიატორული მცდელობები თანაბრად იქნას აღქმული.

ასევე მნიშვნელოვანი აქცენტია გაკეთებული მედიატორის მიერ მედიაციის პროცესის პატიოსნად წარმართვის აუცილებლობაზე. ამ მხრივ აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში თუკი მედიატორი, საქმის გარემოებებისა და მისი კომპეტენციის გათვალისწინებით, თვლის, რომ მხარეთა შორის მედიაციის შედეგად დაგეგმილი

[42] იქვე, მუხლი 1
[43] იქვე, მუხლი 2

შეთანხმება არ არის შესრულებადი ან არაკანონიერია, ასევე იმ შემთხვევაში როდესაც მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა მედიატორი ვალდებულია შეატყობინოს მხარეებს მედიაციის პროცესის შეწყვეტის შესახებ.

და ბოლოს, რაც ასევე მნიშვნელოვანია მედიატორის ქცევის ევროპული კოდექსით ნათლადაა განმარტებული მედიატორის ვალდებულება დაიცვას კონფიდენციალურობა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მედიატორი ვალდებულია კონფიდენციალურად დაიცვას ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი მედიაციის გამართვის პროცესში, მათ შორის ინფორმაცია, რომელიც ეხება უკვე ჩატარებულ ან და დაგეგმილ მედიაციის პროცესს. ასევე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულია მედიატორისათვის მედიაციის პროცესის ერთი მხარის მიერ, არ შეიძლება მის მიერ მიწოდებული იქნას მეორე მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა[44].

[44] მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი, ბრიუსელი. 2004. მუხლი 5. http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf

თავი 3. მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირება

როდესაც საუბარია მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირების საკითხზე, აუცილებელია ვისაუბროთ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორებიცაა, მედიაციის პროცესში მედიატორის დაშვების წინაპირობები და ხსენებულ პროცესში მედიატორის პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მედიაციის განვითარებამ, ასევე მედიაციის პროცესში მედიატორის ფუნქციების კომპლექსურობამ მნიშვნელოვნად აქცია იმგვარი საკითხი როგორიც არის მედიატორის საქმიანობის მოწესრიგება.

დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიაციის პროცესში ჩართულ მედიატორის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მედიატორის განათლება, მისი პროფესიული გამოცდილება, პიროვნული თვისებები, პატიოსნება და სხვა. სწორედ განათლებული, გამოცდილი, პატიოსანი და პიროვნული თვისებებით გამდიდრებულ ადამიანს შესწევს უნარი მაქსიმალურად მოკლე ვადებში, მედიაციის პროცესში ჩართული მხარეებისათვის შექმნას გარემო, რომელიც ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს მოდავე მხარეებს მედიატორის მიმართ აღიჭურვონ ნდობით, ხოლო მეორე მხრივ, მედიატორს აქცევს ჩვეულებრივ ადამიანად რომლის ერთადერთი მიზანი მოდავე მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებაა.[45] ამის მიღწევა კი, დღეს არსებულ ისეთ მზარდ, პროგრესირებად და ცვალებად გარემოში, შეუძლებელი იქნება თუ გარემოს ცვლილებების კვალდაკვალ არ მოხდება მედიატორის ცოდნის, უნარჩვევებისა და კვალიფიკაციის სისტემატური განმტკიცება და ამაღლება.

[45] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 143

3.1. პროფესიაში დაშვების წინაპირობები

დღეისათვის სხვადასხვა ქვეყნის მედიაციის სისტემებს გააზრებული აქვთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მედიატორთა მომზადება და მათი განათლების სტანდარტების დამკვიდრება, რადგანაც აღნიშნული განაპირობებს მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორთა პროფესიონალიზმს და თავად მედიაციის პროცესის ეფექტურობას, შესაბამისად ბევრი მათგანი ცდილობს გამართული და შედეგისკენ ორიენტირებული სტანდარტების დამკვიდრებას ხსენებულ პროცესში. ძირითადად რამდენიმე სტანდარტი არსებობს ყველა ქვეყნის მასშტაბით რომლებიც მედიატორის პროფესიაში დაშვების წინაპირობას წარმოადგენს. ზოგადად არსებობს შეზღუდვები მედიატორობის მსურველთა ასაკის, პროფესიისა და აგრეთვე ნასამართლეობის შესახებ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომაა მედიატორთა გადამზადების, ანუ სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსის გავლის შესახებ.[46]

იშვიათია იმგვარი შემთხვევა, როდესაც არ არის დადგენილი მედიატორობის მსურველთათვის სხვადასხვა ტრენინგის გავლის ვალდებულება. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე მედიაციამ საკმაოდ დიდი პოპულარობა ჰპოვა ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მსოფლიოს მასშტაბით, ბევრი ქვეყანა ცდილობს დაამკვიდროს მინიმალური სტანდარტები მაინც მედიატორობის მსურველთათვის, რათა მათ ოფიციალური სტატუსი მიეცეთ. აღსანიშნავია, რომ ზოგადად მედიაციის ტრენინგის გავლის შედეგად, ხდება მედიატორის აღრიცხვა, რაც მისი როგორც მედიაციის პროცესის განუყოფელი ნაწილის და ამ პროცესის შუამავლის მზადყოფნას ადასტურებს, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ აღრიცხვა და ტრენინგის გავლა არაა საკმარისი, რადგანაც ხშირია როდესაც

[46] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 144

მედიატორებს თავისი სტატუსის შესანარჩუნებლად ამა თუ იმ ქვეყანაში განგრძობადი განათლების პროგრამაში მონაწილების მიღების ვალდებულება აკისრიათ.[47]

მედიატორის პროფესიაში დაშვების წინაპირობებზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს კერძო მედიაციასა და სასამართლო მედიაციას შორის განსხვავება. როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს შემთხვევაში სასამართლო მედიაციის დროს კანონი მხარეებს ავალდებულებს მედიატორი შერჩეულ იქნას თავად სასამართლოს მიერ მხარეებისათვის შეთავაზებული მედიატორების კანდიდატურების სიიდან, თუმცა ამასთანავე შესაძლებელია საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ მედიატორთათვის კონკრეტული დავის შემთხვევაში დამატებითი მოთხოვნები განსაზღვროს, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს მედიატორის ასაკს, სტაჟს ან მის განათლებას. აღნიშნული მოთხოვნების განსაზღვრა კი მაშინაც არის შესაძლებელი თუკი მედიატორის შერჩევა მხარეთა შეთანხმებით ხდება, ხოლო,[48] კერძო მედიაციის დროს მოდავე მხარეებს ეძლევათ მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორის არჩევის შესაძლებლობა.[49] ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორის არჩევისას მხარეებმა შესაძლოა გაითვალისწინონ გარემოებები, რომლებიც მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მედიატორების შერჩევის პროცესს განაპირობებენ. შესაბამისად, ასეთ დროს შესაძლოა გარკვეული სახის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების დაწესებასთანაც გვქონდეს ადგილი, როგორებიც არის: სასამართლო წარმოების ან დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის გამოცდილება, მედიაციის აღიარებული

---

[47] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 146

[48] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 4. პუნქტი 3.*

[49] იქვე, მუხლი 4. პუნქტი 4

ორგანიზაციის მიერ აკრედიტაცია, მედიაციის ეფექტიანად წარმართვა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზის მოძიება, აგრეთვე, მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, მედიატორის საქმიანი რეპუტაცია, ავტორიტეტი და სხვა.[50] მიუხედავად ზემოხსენებულისა, თუ სხვა ქვეყნების პრაქტიკასაც გავითვალისწინებთ როდესაც საქმე ეხება კერძო მედიაციას, ანუ იმგვარ პროცესს როდესაც მხარეები ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ირჩევენ მათთვის სასურველ შუამავალს, რთულია იმის თქმა თუ რამდენად საჭიროა მედიატორთა საქმიანობის რეგულირება. ამასთან ხშირად მუსირებს აზრი იმის თაობაზეც, რომ თუკი მედიატორის შერჩევა მხოლოდ მოდავე მხარეთა ნების ავტონომიაზე იქნება დამოკიდებული, დამოუკიდებლად მომუშავე მედიატორთათვის ეს ერთგვარი მოტივაციაც კი იქნება რათა ამ სფეროში პროფესიონალის სახელი დაიმკვიდრონ და შესაბამისად თავად ექნებათ სურვილი გავლილი ჰქონდეთ სხვადასხვა მოსამზადებელი კურსები.

თანამედროვე მსოფლიო მედიაციის განვითარების ეტაპზე შეიქმნა სხვადასხვა გადამზადების კურსები და პროგრამები, რომლებიც მიმართული იყო მედიატორის უნარების შესწავლასა და განვითარებისაკენ, ეს კი ხდებოდა ჯერ კიდევ მაშინ როდესაც არ არსებობდა მედიაციის შესახებ კანონები თუ სხვადასხვა თეორიული ნაშრომები,[51] თუმცა, მედიაციის პროცესის მნიშვნელობისა და სპეციფიურობიდან გამომდინარე ბევრი იზიარებს იმ მოსაზრებასაც, რომ სასურველია მედიატორმა მედიაციის პროცესში ჩართვამდე გაიაროს იმგვარი სახის ტრენინგები, რომლებიც მისი კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ იქნება მიმართული. მედიაციის ტრენინგები სხვა ბევრი ტრენინგისაგან განსხვავებით არ გამოირჩევა სწავლების ხანგრძლივობით და საშუალოდ ორმოცდაათ საათამდე გრძელდება. ამ

[50] იქვე, მუხლი 5. პუნქტი 2.

[51] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013, გვ.137 http://www.library.court.ge/upload/5529edited-final-version-(1).pdf

მხრივ აღსანიშნავია აშშ-ის გამოცდილება, სადაც მედიაციის და მასში ჩართული მედიატორის ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად მატულობდა მედიატორთა სწავლების პროგრამებისა თუ ტრენინგების რაოდენობაც,[52] თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პრინციპი იმის შესახებ თუ ზუსტად როგორი სახის უნდა იყოს მსგავსი ტრენინგები, რათა მათი გავლის შემდგომ მედიატორს პროფესიაში დაშვების შესაძლებლობა მიეცეს.

მედიაციის პროცესის კომპლექსურობიდან გამომდინარე რთულია იმის თქმა, თუ რა პროფესიის უნდა იყოს მედიატორი, რადგანაც მედიაცია მეცნიერებაზე მეტად უფრო ხელოვნებაა, რომელშიც შუამავლის ფუნქციის მორგება სხვადასხვა ქვეყნებში ნებისმიერი პროფესიის ადამიანს შეუძლია, ძირითადად შესაბამისი ტრენინგის კურსის გავლის შემდგომ. არსებობს მოსაზრება, რომ მედიაციის პროცესთან ყველაზე ახლო მდგომ სფეროებს ფსიქოლოგია და იურისპრუდენცია წარმოადგენს.[53] ბევრის აზრით იურისტთან შედარებით მედიატორად ყოფნას გაცილებით უკეთ შეითავსებს ფსიქოლოგი, რომლის მედიატორად ყოფნა მხარეთათვის უფრო კომფორტული იქნება, რადგანაც ფსიქოლოგი მედიატორი სხვებზე უკეთ შეძლებს მოდავე მხარეების მიერ მიწოდებული ინფორმაცია მათსავით აღიქვას[54], თუმცა როგორც უკვე აღინიშნა სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც არ არის შეზღუდვა მედიატორის პროფესიასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედიაციისა და მედიატორის როლის პოპულარიზაციის საკითხში. თუმცა საქართველოს შემთხვევაში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია მედიატორთა ერთიან რეესტრში იმ ქმედუნარიანი ფიზიკური პირის რეგისტრაციის

[52] იქვე, გვ. 142
[53] იქვე, გვ. 139
[54] იქვე, გვ. 140

პირობა, რომელიც გულისხმობს, რომ ერთიან რეესტრში შეიძლება გაწევრიანდეს „ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი, ფლობს არანაკლებ 40-საათიანი მედიაციის/მედიატორის ტრენინგის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს და რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში სულ მცირე 1 სასამართლო მედიაცია აქვს წარმართული“[55]. კანონში ეს უკანასკნელი ჩანაწერი ცოტა ბუნდოვანს და გაურკვეველს ხდის ქმედუნარიანი ფიზიკური პირის მიერ მედიატორის პროფესიის დაუფლების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

3.2. პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტები

მედიაციის პროცესში მედიატორის ქმედებებსა თუ წარმატებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. აღნიშნულ ფაქტორებში მოიაზრება როგორც მედიატორის გამოცდილება, პროფესიონალური უნარები, მედიაციის სფეროში მიღებული ცოდნა, ასევე მისი მიდგომები ხსენებული პროცესის წარმართვისას და სხვა. სწორედ ამ და სხვა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული მედიატორის პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრება და მისი შენარჩუნება. გამომდინარე იქიდან, რომ ბევრ ქვეყანაში არ არსებობს მკაცრი პროფესიული შეზღუდვა მედიატორის პროფესიასთან დაკავშრებით, შესაძლოა ხსენებულ პროცესში ჩართული შუამავალი მოგვევლინოს როგორც მოხალისე მედიატორი, რომლებიც სხვა მედიატორებისაგან განსხვავდებიან განათლებით, საქმიანობის სფეროთი და

[55] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 18, პუნქტი 2*

სხვა მახასიათებლებით.[56] ზოგადი მიდგომის თანახმად, წარმატებული მედიატორისათვის მნიშვნელოვანი უნარებია: ანალიზის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი, არავერბალური და ვერბალური კომუნიკაციის უნარი და სხვა.[57] თუმცა, გარდა უნარებისა მედიატორის, როგორც მოდავე მხარეთა შორის არსებული პრობლემის მოგვარებისაკენ მიმართული და შესაბამისად მედიაციის პროცესის საკვანძო ფიგურის ავტორიტეტი, პროფესიონალიზმი და რეპუტაცია არანაკლენ მნიშვნელოვანია როგორც პროცესის საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, ასევე თავად მედიატორის პროფესიული რეპუტაციის შენარჩუნებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ კარგი რეპუტაცია პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული მედიატორის ავტორიტეტთან. ასეთ მედიატორს შესაძლოა გაცილებით უპირატესი პოზიცია ჰქონდეს მედიაციის პროცესში, ვიდრე დამწყებ და შედარებით გამოუცდელ მედიატორს.

ხშირად მოგვისმენია კითხვა იმის შესახებ მედიატორი უნდა იყოს თუ არა იურისტი. ამ საკითხთან დაკავშირებით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც მიმდინარეობს დისკუსია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარი საკითხის საერთაშორისო მასშტაბით დარეგულირება არ იქნება სწორი. ბევრ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ იურისტი მედიატორის შემთხვევაში მედიაციის პროცესი უფრო მეტ ღირებულებას იძენს, ხოლო, მის მიერ ხსენებულ პროცესში შუამავლის როლის მორგება მედიაციის პროცესის წარმატებულად დასრულების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა.[58] მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ავსტრია, სადაც დასაშვებია, რომ მედიატორის ფუნქცია შეითავსოს მოქმედმა ადვოკატმა, რომელზეც რაიმე სახის

---

[56] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013, გვ. 124 http://www.library.court.ge/upload/5529edited-final-version-(1).pdf

[57] იქვე გვ. 124

[58] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 118

დამატებითი რეგულაციები არ ვრცელდება. შესაბამისად, მედიაციის პროცესის წარმატებულად დასრულებისათვის უმჯობესი იქნება მედიატორს როგორც შუამავალს, რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული საბოლოო შედეგი, ჰქონდეს სამართლებრივი ცოდნა იმ საკითხის შესახებ, რომლის ფარგლებშიც უწევს მედიაციის პროცესის წარმართვა.[59] ქართული რეალობიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტზე, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ პროცესში იურისტი მედიატორის ჩართულობას შესაძლოა ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც. როდესაც ვსაუბრობდით პროფესიაში დაშვების წინაპირობებზე, მოვიყვანეთ ფსიქოლოგ-მედიატორის მაგალითი. ასეთ დროს შეიძლება ითქვას, რომ ამ პროფესიის ადამიანისთვის რთულია მოდავე მხარეთა ქმედებებსა თუ მათ მიერ დაფიქსირებულ პოზიციებს სამართლებრივი შეფასება მისცეს, რადგანაც დიდი ალბათობით ასეთი მედიატორი საკითხს ადამიანური კუთხით მიუდგება, მაგრამ როდესაც საუბარია იურისტ-მედიატორზე, ასეთი მედიატორი ავტორიტეტთან და პროფესიონალიზმთან არის დაკავშირებული და შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ წარმართული პროცესის შემთხვევაში ძალზედ ნაკლებია შანსი იმისა, რომ საბოლოო ჯამში შედეგად სამართლებრივად შესასრულებლად შეუძლებელი შეთანხმება მივიღოთ,[60] მაგრამ რა თქმა უნდა პროფესიონალი და წარმატებული იურისტ-მედიატორის ფუნქციის გააზრების მნიშვნელობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი შედეგი დავის არსში ჩარევის გარეშე და ნეიტრალურობის პრინციპის დაცვის საფუძველზე იქნას მიღწეული.

---

[59] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 119

[60] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013, გვ. 140 http://www.library.court.ge/upload/5529edited-final-version-(1).pdf

თავი 4. მედიატორის საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები

როგორც უკვე აღინიშნა ტერმინოლოგიურად მედიატორს ლათინური და ბერძნული ფესვები (ძირი) გააჩნია და ის შუამავალს ნიშნავდა. ის უნდა წარმოადგენდეს ნეიტრალურ და დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ მესამე მხარეს, რომელიც ასევე არ უნდა იყოს რომელიმე ერთი მხარის წარმომადგენელი და რომელსაც, კონკრეტული დავის გადაწყვეტის პროცესში არ უნდა გააჩნდეს კერძო ინტერესი. მედიატორი არის პირი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ცოდნითა და უნარებით და მის მიზანსა და ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ჩამოაყალიბოს მხარეთა შორის ურთიერთქმედების პროცესი, დაეხმაროს მათ სიტუაციის განმუხტვაში, გაანალიზოს ვითარება, შეისწავლოს სადავო საკითხის მიმართ მხარეთა შეხედულებები, გააცნობიეროს თუ რა არის თითოეული მხარისათვის მნიშვნელოვანი, იპოვოს მხარეთა ინტერსთა ის კვეთა როდესაც, შესაძლებელი იქნება მივიღოთ ერთობლივი ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილება.

შესაბამისად, მოსამართლის, არბიტრის ან ადვოკატისგან განსხვავებით, მედიატორის ყურადღება ფოკუსირებული და ორიენტირებული უნდა იყოს, მხარეების ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, ვიდრე საკამათო საკითხის რეგულირების იურიდიული ნიუანსებისკენ. შესაბამისად, მოცემულ თავში საუბარი იქნება მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებსა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემზე.

4.1. დავის არსში ჩარევის ფარგლები: განსხვავებული მიდგომები საკითხის მიმართ

როგორც უკვე აღინიშნა, მედიატორი მედიაციის პროცესში წარმოადგენს დამოუკიდებელ მესამე პირს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ საკითხთან დაკავშირებით არ იღებს რაიმე სახის გადაწყვეტილებას, იგი მედიაციის პროცესის წარმართვისათვის ცდილობს მხარეებს მიცეს მიმართულებები. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი პროცესის მსვლელობისას მაქსიმალურად მიუკერძოებელია, რა თქმა უნდა მას შეიძლება შეექმნას ემოციური ფონიც, რამაც შესაძლოა დავის არსში ჩარევის რისკი შექმნას. მედიატორი რომელიც ცდილობს პროცესის მსვლელობის დროს შეინარჩუნოს ნეიტრალურობა მხარეების მიმართ, მათ თვალში წარმოდგება, როგორც დამოუკიდებელი შუამავალი, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ დავის მოგვარებისაკენ. თუმცა, აღსანიშნავია, ისიც, რომ მედიატორისათვის როგორც მედიაციის პროცესში ჩართული შუამავლისთვის მნიშვნელოვანია პროცესის სამართლიანი უზრუნველყოფა. ისინი იღებენ ვალდებულებას პროცესის მსვლელობისას უზრუნველყონ იმგვარი სახის საკითხები როგორიცაა სამართლიანობა და მხარეებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია.[61]

მედიატორის საქმიანობის ფუძემდებლურ საკითხებთან მჭიდრო კავშირშია მისი კომპეტენტურობაც, რამეთუ ბევრის აზრით მას უნდა შესწევდეს მედიაციის პროცესის ერთგვარი ექსპერტიზის უნარი, რათა არ გაუჭირდეს პროცესის დროს წამოჭრილი პრობლემისა თუ სხვადასხვა საკითხის მარტივად მოგვარება.[62] შესაბამისად ხშირად არის საუბარი იმის შესახებ, რომ მედიატორისთვის, როგორც

---

[61] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013, გვ. 134 http://www.library.court.ge/upload/5529edited-final-version-(1).pdf

[62] იქვე, გვ. 146

შუამავლისათვის მნიშვნელოვანია თავად მედიაციის საკმარისი ცოდნა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მედიატორს ხშირად უწევს ერთგვარი ძალის დაბალანსების სტრატეგიის გამოყენება პროცესის მსვლელობისას, რათა მან დავაში მონაწილე მხარეთა ვინაობის მიუხედავად შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი. მედიატორი როგორც წესი ცდილობს, რომ არ იყოს მჭიდროდ დაკავშირებული რომელიმე მხარესთან. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მედიატორი პროცესის მსვლელობისა და მისი დასრულების შედეგად არ ელის რაიმე სახის მოგებას, რომელიც შედეგთან იქნება დაკავშირებული.[63] როდესაც საკითხი ეხება დამოუკიდებელ და ნეიტრალურ მედიატორს, რომლის მიზანს მხოლოდ მოდავე მხარეთა შორის არსებული დავის მოგვარება წარმოადგენს, ასეთ დროს შეიძლება გაჩნდეს კითხვა იმის შესახებაც თუ სად გადის მისი მხრიდან დავის არსში ჩარევის ზღვარი. მედიაციაში ჩართულ მხარეებს ხშირ შემთხვევაში რიგითი ადამიანები წარმოადგენენ, რომელთათვისაც დავის საგანი შეიძლება ძალიან სენსიტიურ საკითხს წარმოადგენდეს, შესაბამისად მედიატორს, რომელიც პროცესის მსვლელობის დროს უსმენს მხარეებს, იზიარებს მათ პრობლემას და ეხმარება პრობლემის მოგვარებაში, შეიძლება პირადი შეხედულებაც გააჩნდეს საკითხის მიმართ, შინაგანად გრძნობდეს გარკვეული სახის სიმპატიასა თუ ანტიპატიას რომელიმე მხარისადმი. სწორედ იმაში მდგომარეობს მედიატორის ნეიტრალურობა, რომ მან შეძლოს მისი შინაგანი დამოკიდებულება გამიჯნოს პროცესის მსვლელობისაგან და მაქსიმალურად შეეცადოს მხარეებს დაეხმაროს მიზნის მიღწევაში. თავად მედიაციის პროცესის შედეგიც მეტწილად მედიატორის ნეიტრალურობასა და მისი მხრიდან დავის არსში ზედმეტად ჩარევისგან თავის არიდებაში მდგომარეობს.[64]

---

[63] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013, გვ. 146 http://www.library.court.ge/upload/5529edited-final-version-(1).pdf

[64] იქვე, გვ. 147

მედიაციის პროცესისას მედიატორის მხრიდან დავის არსში ჩარევის საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მიდგომებია. ბევრისთვის მედიატორის მხრიდან დავის არსში ჩარევა მიუღებელია. საინტერესო იქნება აღნიშნული საკითხი კოლექტიური შრომითი დავების მაგალითზე განვიხილოთ. მედიატორის პროცესში ერთგვარი ჩარევა შესაძლოა განიმარტოს, როგორც მის ვალდებულებად, უზრუნველყოს ჯანსაღი მედიაციის პროცესი, თუმცა ხანდახან საუბარი შესაძლოა მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებში ჩარევაზეც იყოს.[65] მედიაციის პროცესის მსვლელობისას ასევე შესაძლებელია, რომ მედიატორის მხრიდან ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით სხვადასხვა გადაწყვეტილების შეთავაზება მოხდეს, თუმცა მისი დანიშნულება არა მხარეთა გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა, არამედ პროცესის გაჯანსაღება და დამატებითი ალტერნატივების მოძიებაა.[66] ასეთ ვითარებაში მედიატორმა სწორი მეთოდები და დრო უნდა აირჩიოს რათა არ გაუჩნდეს რომელი მხარეს ეჭვი მის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, რადგანაც მედიატორმა შეთანხმების სამართლებრივი შეფასების ნაცვლად, რისკების შეფასებისაკენ სწორედ მოდავე მხარეებს უნდა უბიძგოს.[67] მედიაციის პროცესის მსვლელობისას მნიშვნელოვანია, რომ მედიატორმა, როგორც ამ პროცესის ნეიტრალურმა საკვანძო ფიგურამ მისი შესაძლებლობები და უნარები მაქსიმალურად გამოიყენოს მხარეთათვის სასურველი შედეგის მისაღწევად,[68] შესაბამისად მაღალია იმის რისკიც რომ მოხდეს ერთგვარი ჩარევა პროცესის გამაჯანსაღებელი და წამახალისებელი ალტერნატივების შეთავაზების მიზნით.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიდგომაც. კანონის მე-8 მუხლში ნახსენებია, რომ „მხარეთა

---

[65] ირემაშვილი, ქ., 2015, გამოწვევები კოლექტიური შრომითი დავების მედიატორებისთვის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, ISSN 1987-9199, თსუ, გვ. 13
[66] იქვე, გვ. 13
[67] იქვე, გვ. 13
[68] იქვე, გვ. 14

შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში მედიაციის წარმართვის წესს განსაზღვრავს მედიატორი დავის ეფექტიანად მოსაგვარებლად, მისი გარემოებებისა და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით".[69] ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა ხსენებულ მუხლი მუხლი ითვალისწინებს მედიატორისათვის ისეთ მნიშვნელოვან დანაწესებს, რომლებიც მისი ნეიტრალურობისა და დავის არსში ზედმეტად ჩარევის თავიდან აცილების გარანტს ქმნის. კანონის თანახმად, მედიატორს გააჩნია უფლებამოსილება მედიაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით მხარეებს მედიაციის მიმდინარეობისას შესთავაზოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.[70] ამასთანავე, მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში როგორც მედიაციის პროცესის, ისე მისი საბოლოო შედეგის მიმართ მხარეთა მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპის გათვალისწინებით,[71] ხოლო, მხარეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაში მედიატორმა შეიძლება მხარეებს შესთავაზოს სამედიაციო მორიგების პირობები, მათი ინტერესებისა და მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მათ მიერ გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით.[72]

შეიძლება ითქვას, რომ მედიატორი პროცესის მსვლელობისას უბრალოდ ინფორმაციის მიმტანის როლს არ ასრულებს, არამედ მას აკისრია ვალდებულება მოდავე მხარეებისაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მისცეს მიმართულება მხარეებს[73] და წარმართოს იმგვარი პროცესი, რომელიც ორიენტირებული იქნება მოდავე მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისაკენ, მაგრამ როდესაც საკითხი დავის არსში ჩარევას ეხება, მან ეს

---

[69] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 8*
[70] *იქვე, მუხლი 8, პუნქტი 8*
[71] *იქვე, მუხლი 8, პუნქტი 9*
[72] *იქვე, მუხლი 8, პუნქტი 10*
[73] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 113

ყველაფერი უნდა გააკეთოს იმგვარად, რომ რომელი მხარეს არ გაუჩნდეს ეჭვი მის ნეიტრალურობასთან დაკავშირებით.

4.2. მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის სირთულე ცალკეული ტიპის დავისას

მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულება მხოლოდ მოდავე მხარეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული. ამისათვის მნიშვნელოვანია თუ რამდენად ნეიტრალური და მიუკერძოებელი იყო მედიატორი პროცესის მსვლელობისას. შუამავლის მიუკერძოებლობა განსაზღვრავს მოდავე მხარეთა მის და ზოგადად ხსენებული პროცესის მიმართ ნდობას. მედიაციის პროცესის ჯანსაღად წარმართვისათვის აუცილებელია, რომ მედიატორი იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი როგორც ორივე მხარის, ასევე თავად მედიაციის პროცესისადმი. მასზე ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს რაიმე სახის ინტერესმა რომელიმე მოდავე მხარის მიმართ. მედიატორის მიუკერძოებლობაზე დიდ გავლენას ახდენს მისი უნარები და აგრეთვე მორალური მზადყოფნა პროცესისადმი. შესაბამისად, სასურველია, რომ იგი ძლიერი პიროვნული თვისებებით გამოირჩეოდეს და თავად მართავდეს პროცესს.[74] მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკების ბედი სრულად არის დამოკიდებული მხარეებზე, მედიატორი მიუკერძოებლად უნდა მართავდეს პროცესს, მაგრამ ამას ისე უნდა აკეთებდეს, რომ მხარეებს არ აძლევდეს გარკვეული სახის რჩევებსა თუ მიმართულებებს დავის საკითხთან დაკავშირებით.[75] გამომდინარე იქიდან რომ მედიაციის პროცესში შედეგი არა სამართლებრივი კუთხით, არამედ მხოლოდ მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე

[74] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018 , გვ. 81
[75] იქვე, გვ. 82

მიიღება, რომელშიც მედიატორი არა როგორც მოსამართლე ან არბიტრი, არამედ როგორც მიუკერძოებელი შუამავალი გვევლინება, რომელიც არც პიროვნული და არც ფინანსური დამოკიდებულების ქვეშ არ არის რომელიმე მხარესთან, მედიაციის პროცესი ბევრი ადამიანისთვის მიმზიდველია.

იმისათვის, რომ მედიაციის პროცესის დაწყებისას ან მისი მსვლელობის პროცესში რომელი მხარეს არ დაებადოს კითხვები მედიატორის მიკერძოებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ მან პროცესის დაწყებამდე ჩამოაყალიბოს მისი პოზიცია, როგორც მხარეების, ასევე დავის მიმართ დამოკიდებულების შესახებ, თუმცა მედიატორის მიუკერძოებლობის დაცვის პირნციპის პრაქტიკაში გააზრებით, შესაძლოა ეს საკითხი არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდეს. თანამედროვე მედიაციის განვითარებამ გამოიწვია მისდამი ინტერესი ბევრი პროფესიის ადამიანების მხრიდან, მათ შორის მოსამართლეების, ადვოკატების და ზოგადად იურიდიული სფეროს წარმომადგენლებისა. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადვოკატებისათვის ძალზედ მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდა მედიაციის პროცესი და მასში ჩართვა, არა მხოლოდ რომელიმე მხარის წარმომადგენლის ამპლუით, არამედ მედიატორის ფუნქციის შეთავსებითაც,[76] თუმცა შესაძლოა ასეთ მედიატორს მიუკერძოებლობისა თუ ნეიტრალურობის თვალსაზრისით გარკვეული სახის სირთულეები შეექმნას. მიჩნეულია, რომ ერთი მხრივ, ამგვარი მედიატორის ჩართულობით პროცესი უფრო ეფექტურია, რადგანაც მას საჭირო გამოცდილება და ცოდნა გააჩნია პროცესის წარმართვისათვის, მაგრამ მეორე მხრივ ბევრი მიიჩნევს, რომ მედიაციის მსგავსი პროცესი სასამართლოს მოდელამდე გვაბრუნებს, რადგანაც დიდია ალბათობა ასეთმა მედიატორმა სამართლებრივი შეფასება მიცეს საკითხებს, დაკარგოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის განცდა და დავის არსში ჩარევა გადაწყვიტოს. მაგალითისათვის

[76] ირემაშვილი, ქ., 2015, გამოწვევები კოლექტიური შრომითი დავების მედიატორებისთვის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, ISSN 1987-9199, თსუ, გვ. 92

შეგვიძლია მოვიყვანოთ შრომით დავებში ჩართული მედიატორებიც. როდესაც საკითხი ეხება იურისტის კვალიფიკაციის მქონე მედიატორებს, მათი ცოდნის გათვალისწინებით შესაძლოა გაჩნდეს ერთგვარი კონფლიქტი მათ შესაძლებლობასა და სურვილს შორის.[77]

აღსანიშნავია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირებული მედიატორის მიუკერძოებლობის საკითხიც. როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-6 მუხლში ვხვდებით ჩანაწერს მედიატორის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისა და მისი საქმიანობის შეზღუდვის შესახებ[78]. ხსენებული მუხლში აღნიშნულია, რომ მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე ან/და მედიაციის დაწყების შემდეგ ან მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე იმ გარემოების გამოვლენისთანავე, რომელმაც შეიძლება საეჭვო გახადოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, შეატყობინოს მხარეებს აღნიშნული გარემოების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მუხლში ასევე არის საუბარი მედიატორად ყოფნის იმ დამატებით შეზღუდვებზე, რომლებიც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიდგომებზე საუბრისას უკვე მიმოვიხილეთ. ამასთანავე შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული კანონით საკმაოდ კარგად არის დარეგულირებული იმგვარი საკითხები, რომელიც მედიატორის მიუკერძოებლობასა და ნეიტრალურობას უზრუნველყოფს. ასევე შეიძლება ითქვას, რომ მედიატორის მიუკერძოებლობას მხოლოდ ზემოხსენებული ფაქტორები არ განაპირობებს, მისთვის როგორც შუამავლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია თვითდაჯერებულობა და პიროვნული მახასიათებლებიც,[79] რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, მედიატორს შესაძლოა

---

[77] იქვე, გვ. 12

[78] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Ib. 2019. მუხლი 6, პუნქტი 1*

[79] ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018, გვ. 84

პროცესის მართვა გაუჭირდეს, რაც საბოლოო ჯამში არასასურველ შედეგამდე მიიყვანს მოლაპარაკების პროცესს.

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში წარმოჩენილ იქნა მედიაციის ინსტიტუტის ფუნქციონირება საქართველოში, მისი ისტორიული ევოლუციის მაგალითები, როგორც საქართველოს ასევე უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებული იქნა მედიატორის როლის თანამედროვე კონცეფცია. ხსენებულის ფარგლებში მიმოხილულ იქნა მედიაციის პროცესისა და მედიატორის საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციები. ნაშრომში ასევე განხილული იქნა მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირების საკითხები, რომელზეც მსჯელობისას გაანალიზებულ იქნა როგორც მედიატორის პროფესიაში დაშვების წინაპირობები, ასევე მისი პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების საკითხები და სტანდარტები. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტები იქნა გამახვილებეული მედიატორის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებსა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ნაშრომში ზემოხსენებულ საკითხებზე მსჯელობებისას აღნიშნულია, რომ, მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება საქართველოში განვითარების ეტაპზეა, თუმცა მას გააჩნია თავისი არსებობის ტრადიცია და ისტორიული გამოცდილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მოდავე მხარეთა შორის საკითხის მშვიდობიან მოგვარებას ხელს უწყობდა შუამავალი, რომელიც ნაშრომში მოხსენიაბულია სხვადასხვა სახელწოდებებით. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარი ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ახალი არ არის ჩვენი ქვეყნისათვის და მას განვითარების დიდ პერსპექტივები გააჩნია.

აღნიშნულია, რომ მედიაცია მოქნილი პროცესია, რომლის მიმდინარეობაც არ არის მკაფიოდ რეგლამენტირებული საპროცესო მოქმედებებით ან დებულებით. მედიატორი მედიაციის წარმოებისათვის არსებული მეთოდების გამოყენებით ხელმძღვანელობს მხარეთა შორის მიმდინარე მოლაპარაკების პროცესს და კონცენტრირებული უნდა იყოს მხარეთა ინტერესების ძიებასა და გამოსავლის პოვნაში.

აღნიშნულია, რომ დღეს მედიაციის პროცესი რეგულირდება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით. თუმცა კანონი ბოლომდე ვერ აწესრიგებს მედიატორის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფუნდამენტალურ საკითხებს, კერძოდ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულია მედიატორთა აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციები, რომლითაც საბჭოს ევალება მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტისა და მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების წესის დამტკიცება, ასევე მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა.[80]

მედიაციის პროცესის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით, ასევე განხილული იქნა ის ფუძემდებლური მიდგომები, რომელიც გაწერილია „მედიატორის ქცევის ევროპულ კოდექსში“.

ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მედიატორის უნარებს, ადამიანურ თვისებებსა და მის პროფესიონალურ რეპუტაციას, რაც დავების გადაწყვეტის პროცესში მხარეთა მიერ მედიატორისადმი და ასევე ზოგადად მედიაციის პროცესისადმი დამოკიდებულების მთავარი საფუძველია, საჭიროა არსებობდეს ისეთი სამართლებრივი რეგულაცია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი

[80] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 15*

მედიატორის, როგორც შუამავლის უფლებამოსილებასთან, პროფესიულ უნარჩვევებსა და ეთიკის ერთიან სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მედიატორის საქმიანობის პროფესიული რეგულირების საკითხებს, და ისეთ მნიშვნელოვან თემებს როგორიცაა, მედიაციის პროცესში მედიატორის დაშვების წინაპირობები და ხსენებულ პროცესში მედიატორის პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტები. აღინიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მედიატორთა მომზადება და მათი განათლების სტანდარტების დამკვიდრება, რადგანაც აღნიშნული განაპირობებს მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორთა პროფესიონალიზმს და თავად მედიაციის პროცესის ეფექტურობას.

აღნიშნულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიაციის პროცესში ჩართულ მედიატორის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მედიატორის განათლება, მისი პროფესიული გამოცდილება, პიროვნული თვისებები, პატიოსნება, ანალიზის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი, არავერბალური და ვერბალური კომუნიკაციის უნარი და სხვა. სწორედ განათლებული, გამოცდილი, პატიოსანი და პიროვნული თვისებებით გამდიდრებულ ადამიანს შესწევს უნარი მაქსიმალურად მოკლე ვადებში, მედიაციის პროცესში ჩართული მხარეებისათვის შექმნას გარემო, რომელიც ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს მოდავე მხარეებს მედიატორის მიმართ აღიჭურვონ ნდობით, ხოლო მეორე მხრივ, მედიატორს აქცევს ჩვეულებრივ ადამიანად რომლის ერთადერთი მიზანი მოდავე მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებაა.

მიიჩნევა, რომ ამის მიღწევა კი, დღეს არსებულ ისეთ მზარდ, პროგრესირებად და ცვალებად გარემოში, შეუძლებელი იქნება თუ გარემოს ცვლილებების კვალდაკვალ არ მოხდება მედიატორის ცოდნის, უნარჩვევებისა და კვალიფიკაციის სისტემატური განმტკიცება და ამაღლება. პროფესიული რეპუტაციის დამკვიდრებისა და შენარჩუნების სტანდარტზე მსჯელობისას, ყურადღება

გავამახვილეთ სხვადასხვა სპეციალობების მქონე ადამიანთა მედიატორებად დაშვების დადებით და უარყოფით მხარეებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაანალიზებულია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც არ არის შეზღუდვა მედიატორის პროფესიასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედიაციისა და მედიატორის როლის პოპულარიზაციის საკითხში. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია მედიატორთა ერთიან რეესტრში იმ ქმედუნარიანი ფიზიკური პირის რეგისტრაციის პირობა, რომელიც გულისხმობს, რომ ერთიან რეესტრში შეიძლება გაწევრიანდეს „ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი, ფლობს არანაკლებ 40-საათიანი მედიაციის/მედიატორის ტრენინგის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს და რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში სულ მცირე 1 სასამართლო მედიაცია აქვს წარმართული“.[81] კანონში ეს უკანასკნელი ჩანაწერი ცოტა ბუნდოვანს და გაურკვეველს ხდის ქმედუნარიანი ფიზიკური პირის მიერ მედიატორის პროფესიის დაუფლების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

ნაშრომში გაანალიზებულია მედიატორის საქმიანობის ისეთი ფუძემდებლური პრინციპები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორიც არის მისი მხრიდან დავის არსში ჩარევის ფარგლები და ცალკეული ტიპის დავებისას მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის სირთულეები. აღინიშნა, რომ მედიტორის მხრიდან დავის არსში ჩარევის საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომა არსებობს, თუმცა აღნიშნულ ნაშრომში ხაზი გაესვა და უფრო ნათლად წარმოჩინდა ის საკითხები და პრობლემები, რომლებიც მისი, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შუამავლის მხრიდან მოდავე

[81] *საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019. მუხლი 18, პუნქტი 2*

მხარეთა შორის არსებული დავის არსში ზედმეტი ჩარევისას იჩენს თავს. აღნიშნულია, რომ მედიაციის მიმართ საზოგადოების ნდობა მეტწილად დამოკიდებულია თავად მედიატორის მიუკერძოებლობასა და ნეიტრალურობაზე. ნაშრომში მოყვანილია სხვადასხვა მაგალითი აღნიშნული თემის აქტუალურობის წარმოსაჩენად, მათ შორის კოლექტიურ შრომით დავებში ჩართული მედიატორების მაგალითიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017
2. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ დაარსებასთან დაკავშირებული ღონისძიება https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2020/MediatorsAssociation.html
3. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თსუ-ს გამომცემლობა., თბილისი, 2004
4. ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, დისერტაცია, თბილისი, 2018
5. ონიანი ს., ტერმინი „ბჭი“ მნიშვნელობისთვის ძველ ქართულ სამართალში, თსუ იურიდიული ფაკულტეტი სამართლის ჟურნალი, N2, 2013
6. ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბ., 2016
7. დავითაშვილი გ., „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისი, 2001
8. მერაბიშვილი ჯ., „რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული: ქართული ჩვეულებითი სამართალი მიხაკო კეკელიას რედაქტორობით, 1990.
9. ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“., დისერტაცია, თბილისი, 2015

10. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“ რეგისტრაციის № 07-2/319/9, ინიცირებული ვარიანტი. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089 (05.06.2020)

11. ცერცვაძე გ., „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“ (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2010

12. Haft, Fritjof, Verhandlung und Mediation, in: Haft, Fritjof,/von Schlieffen, Katherina,/(Hrsg.) Hanbuch Mediation, 2.Auflage, ”Beck”, München, 2009

13. ყანდაშვილი ი. პრობლემები მედიაციაზე, ინტერვიუ, თბილისი, 2020, https://youtu.be/wCs1-PmdW-s?t=216 (22.06.2020)

14. ირემაშვილი, ქ., 2015, გამოწვევები კოლექტიური შრომითი დავების მედიატორებისთვის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, ISSN 1987-9199, თსუ

15. საქართველოს პარლამენტი, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი # 4954-Iს. 2019.

16. მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი, European Code of Conduct for Mediators, ბრიუსელი. 2004 http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf

17. Zenk K., Mediation im Rahmen des Rechts, Nomos, 2008

18. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013, http://www.library.court.ge/upload/5529edited-final-version-(1).pdf